ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 24-100

"2" ოქტომბერი 2015 წ.

ქ. თბილისი

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ"
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 06/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016099) და დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა, ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


ფუნქციური ზონები
ლეგენდა

განმარტებითი ბარათი
„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

1. დადგენილების მიღების მიზეზია ის ფაქტი, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში მიმდინარე სიერცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის ტექნიკური) ცვლილებების შეტანის საკითხი. ქვემოთჩამოთვლილი ფუნქციური ზონების ცვლილების საკითხები (26 წინადადება) განხილულია და რეკომენდირებულია "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა საბჭოს" მიერ.

2. დადგენილების მიღების მიზანია დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში – რუკაში აღნიშნული ხარვეზების გამოსწორება და მისი შემდგომი სრულყოფა.

3. დადგენილების ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში:
წარმოდგენილი პროექტის მიღების შემთხვევაში მოხდება დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილზე – რუკაზე არსებული ფუნქციური ზონების ცვლილება 26 ერთეულ შემთხვევაში ქვემოთ ჩამოთვლილი ჯგუფების მიხედვით:

1. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, გორგასალის ქ. №111–ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.18.09.008.030 მიმდებარედ) ლეგალიზების მიზნით, (53 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელი ზონა 5–სშორის.
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 5–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლისოქმი №37), მოქ. მ. თევდორაშვილი. AR1323890.

2. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის II შესახვევი, №19–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტროკოდი: №01.18.06.011.090), (752 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 2–სშორის.
სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება სარეკრეაციო ზონა 2–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №37), მოქ. ვ. ჯალაღონია. AR1326190.

3. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, დაბა წყნეთი, მაია წყნეთელის ქუჩა, ნაკვეთი 103/006, არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.103.006), (69 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელი ზონა 1–ს შორის.
სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №37), მოქ. ს. პაპაშვილი. AR1325431.

4. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.13.32.528), (5459 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა და საცხოვრებელი ზონა 1–ს შორის.
სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საცხოვრებელი ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №37), მოქ. ნ. ფალქოსაძე. AR1326603.

5. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანი, „ავშნიანში“ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.006.242) ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და დამხმარე შენობის განთავსების მიზნით, (135 და 436 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით (135 კვ.მ.) და სატრანსპორტო ზონა 1–ით (436 კვ.მ.) (“ქალაქთ ბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №37), მოქ. გ. ქობალია. AR1325676.

6. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, დიდ დიღომში, სერგი ცხაკაიას ქუჩა №24ა–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.004.962, 01.72.14.094.167) (159 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1-ს, სატრანსპორტო ზონა 1-სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით (135 კვ.მ.) და სატრანსპორტო ზონა 1–ით (436 კვ.მ.) (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №38), მოქ. გ. მუმლაძე, გ. ცაბაძე. AR1331891, AR1331880.

7. ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №43ა–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.13.03.010.121) (712 და 388 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 2-ს შორის.
სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება სატრანსპორტო ზონა 1-ით (388 კვ.მ.), სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება სარეკრეაციო ზონა 2–ით (712 კვ.მ.) (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №38), არქიტექტურის სამსახური.
8. ქ. თბილისში, მთაწმინდის რაიონში, ოქროყანის აღმართის №19–ის მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.088.042–ის მიმდებარედ), (164 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის.
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №34), მოქ. ლ. ბებია. AR1323821.

9. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ლილოს დასახლება 5-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.15.001.031) და მიმდებარე მიწის ნაკვეთების, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსებისა და მიმდებარედ არსებული სახლების ზონასთან შესაბამისობაში მიყვანის მიზნით, (4646კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სამრეწველო ზონა 2-სა და სარეკრეაციო ზონა 2-ს შორის.
სამრეწველო ზონა 2 იცვლება სარეკრეაციო ზონა 2-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №39), მოქ. ი. საიტოვ. AR1328634.

10. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თ. ერისთავის ჩიხი, (ნაკვეთი №36/131), თორნიკე ერისთავის ჩიხში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №№01.12.08.036.161, 01.12.08.036.162, 01.12.08.036.163, 01.12.08.036.165, 01.12.08.036.166), (7224 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ზოგადი საცხოვრებელი ზონასა და სამრეწველო ზონა 1-ს შორის.
ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება სამრეწველო ზონა 1-ით (“ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს” 2015 წლის ოქმი №39), სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. №07/11368–13.

11. ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, ორთაჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე (13015, 323, 608, 534 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას, საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ს, სამრეწველო ზონა 1–ს, საცხოვრებელიზონა 5–სა და სატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (13015 კვ.მ.) , საცხოვრებელი ზონა 5 (608 კვ.მ.), საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (534 კვ.მ.) და სამრეწველო ზონა 1 (323 კვ.მ.) იცვლება სატრანსპორტო ზონა 1–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლისოქმი №41), მოქ. მ. მამულაშვილი. AR1340200.

12. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ქვიშხეთის ქ. #8 მიმდებარედ არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.12.08.011.022-ის მიმდებარედ) (28კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 6–სა და სატრანსპორტო ზონა 1–ს შორის.
სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 6–ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლისოქმი №41), მოქ. ნ. მამედოვი. AR1337143.

13. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.044.435), ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით,(10467კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონასა და სარეკრეაციო ზონა 3–ს შორის.
სარეკრეაციო ზონა 3 იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №41), მოქ. უ. თოდუა. AR1329058.

14. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, რაზმაძის ქ. 26–ის მიმდებარედ ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.14.11.044.030–ის მიმდებარედ), (172კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელი ზონა 3–ს შორის.
სატრანსპორტო ზონა 1 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლისოქმი №41), მოქ. ნ. ცანავა. AR1329220.

15. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ბაგების სატყეო ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: ##01.14.08.001.115, 01.14.08.001.116), (606კვ. მ) დაზუსტდეს კონტური საცხოვრებელი ზონა 4-სა და საცხოვრებელი ზონა 3–ს შორის.
საცხოვრებელი ზონა 4 იცვლება საცხოვრებელი ზონა 3-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №41), მოქ. თ. მეგრელიშვილი. AR1334517.

16. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, წალენჯიხის (კახეთის გზატკეცილი) #2/15 არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.09.053.001), (4703კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონასა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ს შორის.
ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №41), მოქ. დ. ელიზბარაშვილი. AR1337170.

17. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #81.08.04.453), (4367კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 3-სა და სასოფლო–სამეურნეო ზონას შორის.

სარეკრეაციო ზონა 3 იცვლება სასოფლო სამეურნეო ზონით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №41), სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. №№07/11448–13.07/11862-13.

18. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირის #17–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.12.09.017.009), (14297 და 2845კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ზოგადი საცხოვრებელი ზონა ზოგადი საცხოვრებელი ზონას, სამრეწველო ზონა 1–სა და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2–ს შორის.
ზოგადი საცხოვრებელი ზონა იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (2845 კვ.მ.) და სამრეწველო ზონა 1–ით (14297 კვ.მ.) ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №41), სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. №№07/11471–13. 07/11865-13.
19. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, კახეთის გზატკეცილის #1–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.10.011.085),(152კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2–ს შორის.

სარეკრეაციო ზონა 2 იცვლება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №41), სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. №07/11936–13.

20. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირის #10 ჩიხში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: #01.12.01.005.009–ის მიმდებარედ), ლეგალიზების მიზნით, (4915, 997 და 253კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-ს, სამრეწველო ზონა 1–სა და ზოგად საცხოვრებელ ზონას შორის.
სარეკრეაციო ზონა 1 იცვლება სამრეწველო ზონა 1-ით (997 კვ.მ.) და ზოგადი საცხოვრებელი ზონით (4917 კვ.მ.), სამრეწველო ზონა 1 იცვლება სარეკრეაციო ზონა 1–ით (253 კვ.მ.) ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლისოქმი №41), მოქ. ზ. წიბახაშვილი. AR1330047.

21. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, ჭიჭინაძის I-სა და 360 კმ—ის გადაკვეთაზე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.19.23.024.065), (3391 და 706კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ზოგად საცხოვრებელ ზონა 6-ს, სატრანსპორტო ზონა 1–სა დასაცხოვრებელ ზონა 2–ს შორის.
საცხოვრებელი ზონა 6 იცვლება საცხოვრებელ ზონა 2-ით (3391 კვ.მ.) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (706 კვ.მ.) ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №41), მოქ. რ. სააკიანი. AR1336960.

22. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბაქტერიოფაგის მიმდებარედ (ნაკვეთი #16/098), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.10.13.016.098), (1326 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-ს შორის.
სარეკრეაციო ზონა 1იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №23), ქონების მართვის სააგენტო. №07/7118–13.

23. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ბოგდან ხმელნიცკის ქ. #179 მიმდებარედ (ნაკვეთი #02/058), არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.17.14.002.058–ის მიმდებარედ),(327 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1-სა და საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1-ს შორის.
სატრანსპორტო ზონა 1იცვლება საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №23), ქონების მართვის სააგენტო. №07/7120–13.

24. ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.16.03.010.032),(8035 კვ. მ) დაზუსტდეს კონტური ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და სპეციალური ზონა 1-ს შორის.
ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაიცვლება სპეციალური ზონა 1-ით ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №23), ქონების მართვის სააგენტო. №07/7304–13.

25. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, დიდ ლილოში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #81.21.03.038), გაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, (2490 და 3350კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სარეკრეაციო ზონა 2-სა, სატრანსპორტოზონა 1-სა და სატრანსპორტო ზონა 2-ს შორის.
სარეკრეაციო ზონა 2იცვლება სატრანსპორტო ზონა 2-ით (2490 კვ.მ.) და სატრანსპორტოზონა 1-ით (3350 კვ.მ.) ("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების საბჭოს" 2015 წლის ოქმი №21), შპს „რადა–ს" დირექტორი ზ. გვრიტიშვილი. №07/6361–13.

26. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ ზურგოვანში არსებული ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.014.239-ის მიმდებარედ), ლეგალიზების მიზნით, (102კვ. მ) დაზუსტდეს კონტური სატრანსპორტო ზონა 1–სა და ზოგადი საცხოვრებელი ზონას შორის.
სატრანსპორტო ზონა 1იცვლება ზოგადი საცხოვრებელი ზონით("ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების საკითხთა რეგულირების კომისიის" 2014 წლის ოქმი №47), მოქ. ა. გიგაშვილი (AR1266273).